

კალკებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი
ქართულში

კალკების არმქონე ენა, როგორც ცნობილია, არ არსებობს (სად-მე ჯუნგლებში მცხოვრებთა ენა თუა ამ მხრივ შედარებით დაცული!). კალკები ენის ცვლილება-განვითარების აუცილებელი თანამგზავრია. შით უმეტეს ითქმის ეს მაშინ, თუ ენას განვითარებული და ხანგრძლივი წერილობითი ტრადიცია აქვს.

მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ხალხებს სხვადასხვა პერიოდში ზოგჯერ იძულებით, ზოგჯერ კი თავიანთი ნება-სურვილით გარკვეული კონტაქტები ჰქონიათ სხვადასხვა ხალხებთან. ამ კონტაქტებს ბუნებრივად მოჰყვებოდა ხოლმე სათანადო ცვლილებები ენაში, პირველ ყოვლისა, მის ლექსიკურ შემადგენლობაში. არსებულ სიტყვათა გვერდით სხვა ენებიდან შედიოდა სიტყვები, რაც იწვევდა ჩვეულებრივ, ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, თუმცა ზოგჯერ, შესაძლოა, ამ სტიქიურ პროცესს მოჰყოლოდა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, „მსესხებელი“ ენის ერთგვარად „გალარიზებაც“, რამდენადაც ამ გზით გავრცელებული ნასესხები სიტყვა ზოგჯერ იწვევდა ენაში უკვე არსებული საკუთარი ლექსიკური ერთეულის პოზიციის შესუსტებას და ბოლოს სულ გამოდევნასაც.

ენათა კონტაქტების დონის მიხედვით განსხვავებულია გავლენის ხარისხიც. გავლენა კვალს ტოვებს, ჩვეულებრივ, არა მარტო ლექსიკაში, არამედ სინტაგმების სფეროში, ენის სტილისტიკურ მხარეში.

მიუხედავად ქართული სამწერლობო ენის მონოლითურობისა ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში, სწორედ ამ დიდი ისტორიული წარსულის შედეგად ქართულ სამწერლობო ენაშიაც საკმაო სარბიელი ეძლეოდა სხვადასხვა ენობრივ კონტაქტებსა და ამ ენობრივი კონტაქტების შედეგად წარმოქმნილ კალკებს.

კიდევაც ამიტომ ქართულ ფილოლოგიაში ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამა თუ იმ ტექსტის ენის შესწავლისა და დედნის წარმომავლობის გარკვევისას.

ეს საკითხები ქართული ენისა და საერთოდ ქართველურ ენათა ისტორიის გაღრმავებული შესწავლის თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს მომავალში.

რამდენადაც სხვადასხვა ენაში სიტყვა-ცნებათა აგების, გამოთქმა-თა, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შედგენის განსხვავებული საფუძველი შეიძლება არსებობდეს, ამდენადვე განსხვავებული ბუნებისაა კალკებიც.

მსესხებელი ენისათვის სხვა ენის კალკები შეიძლება ასე თუ ისე მისაღებიც და სასარგებლოც იყოს, ან კიდევ — სრულიად შეუფერებელი და შეუგუებელი მისი ბუნებისათვის.

ეს ბოლო შემთხვევა მით უმეტეს მოსალოდნელია მაშინ, როცა საკითხი განსხვავებული აგებულების ენათა კონტაქტებს შეეხება.

მიუხედავად კალკების მოძალების გარდაუვალობისა, ჩვენს სწრაფად ცვლადს, მდიდარი ინფორმაციის ეპოქაში მაინც აუცილებელია დამყარდეს გარკვეული წესრიგი ამ მხრივ, რათა ჩვენი სამწერლობო ენა მისი ბუნების შესატყვისად უფრო მდიდარი და მოჭნილი გახდეს, ადვილად აუწყოს ფეხი უჩვეულოდ ინტენსიურ საზოგადოებრივ წინსვლას, იყოს დაუფლებელი მრავალმხრივ გამომსახველობითს საშუალებებს.

მით უფრო შესაძლებელი და აუცილებელია ეს დღეს, როდესაც ქართული ენის გვეგმაზომიერი განვითარება სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანია და არსებობს ყველა შესაბამისი ინსტიტუტი ამ საქმის სასურველად წარმართვისათვის.

დღეს ჩვენ უფლება არა გვაქვს სტიქიურ, გაუცნობიერებელ პროცესს, თვითდინებას მივანდოთ ქართულ ენაში კალკირების საკითხები და ამიტომაც მნიშვნელოვანი მუშაობაც ტარდება ამ მხრივ.

სალიტერატურო ენის ნორმებისა და კერძოდ, კალკების საკითხი შეუწინააღმდეგებლად ყურადღებას ითხოვს. კალკები სწრაფად ჩნდება და მათი ფრიად დამახასიათებელი თვისება, შეიძლება ითქვას, ერთგვარი „მოდურობაცაა“: ადვილად ვრცელდება. ამიტომაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ დროულად შეგუფარდოთ ყოველ მათგანს მიზანშეწონილი ვარიანტი: უნდა ვეცადოთ შეგნებულად გამოვიყენოთ ჩვენი ენის დიდი შესაძლებლობანი, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი შეუფერებელი სიტყვები (და გამოთქმები), როგორიცაა თუნდაც სასაუბრო ენაში ახლად ფეხადგმული „გადაგირეკავ“, „გადმოგირეკავ“ და მისთ¹.

¹ გამოთქმაში „ტელეფონით გადაურეკა“ წიგნის ენაშიაც კი შეადგია. ეს მით უფრო გაუმართლებელია, რომ არსებობს ნ. ვაჩნაძის საფუძვლიანი გამოკვლევა რუს. пере- და ქართ. გადა- პრევერბთა ფუნქციური შესაბამისობის შესახებ სათანადო რეკომენდაციებითურთ.

იმის ნაცვლად, რომ სტუდენტმა თქვას — „ესა და ეს საგანი ჩამე-
თვალათ“, ხშირად ისმის: „ამა და ამ საგანში ჩათვლა მომცაო“. სამწუ-
ხაროდ, ზოგჯერ არც ლექტორები ჩამორჩებიან სტუდენტებს. ისინიც
თავიანთ საგნებში „ჩათვლას აძლევენ ან არ აძლევენ სტუ-
დენტს“.

კალკები დასაშვებია მაშინ, როცა ახალი ცნება შემოდის, რომ-
ლის შესაბამისი „მიღებ“ ენაში არ იძებნება, როცა ამის საჭიროება
ჩნდება სტილისტიკური ნიუანსების გადმოსაცემად, მაგრამ აქაც უნდა
ვხელმძღვანელობდეთ ქართული ენის ბუნებით. ნასესხები, კალ-
კირებული გამოთქმები ასე თუ ისე უნდა ეწყობოდეს ქართული ენის
ხასიათს და არ უნდა იწვევდეს მისი აგებულების თავისებურებათა
რღვევას.

არ გვეგულება საქმეში ჩახედული სპეციალისტი, რომელიც ამის
საწინააღმდეგოს ამტკიცებდეს. ამ პრინციპებს ყველა ჩვენგანი იზი-
არებს, მაგრამ აზრთა სხვაობა თავს იჩენს ცალკეულ ენობრივ მოვლე-
ნათა სწორედ ზემოთ მოყვანილი განმსაზღვრელი პრინ-
ციპების შესახებ თვალსაზრისთა შეფასებისას.

ქვემოთ ამ მხრივ გვინდა შევჩერდეთ განხილვის საგნად ქცეულ ზოგ
საკითხზე.

აქ პრინციპული ხასიათის ორი რიგის ფაქტებს გამოვყოფთ:

1. როცა თვლიან, რომ ესა თუ ის ფორმა სიტყვისა, ან გამოხატეა-
ში თუმც კალკია (ახალი წარმონაქმნია), მაგრამ ენაში ავსებს გარკვეულ
სიცარიელეს და ამიტომ მას მხარი უნდა დავუჭიროთო.

2. ესა თუ ის გამოთქმა, თითქოსდა საერთო ტიპს არ მიჰყვება, ამ-
დენადვე იგი კალკის ნიადაგზე გაჩენილი ჩანს და უნდა უკუვაგდოთო.

დავიწყებთ პირველით. ქართული ენა, როგორც ცნობილია, მდი-
დარია ზმნური ფორმებით. სხვადასხვა სამიმართებო და ფუძის საწარ-
მოებელი აფიქსების მეშვეობით მდიდარ ქართულ ზმნას, მსგავსად
ზოგი მონათესავე იბერიულ-კავკასიური ენისა (კერძოდ, აფხაზურ-
ადიღური ენებისა) კონცენტრირებულად შეუძლია გადმოსცეს პირთა
მიმართებები და რთული შინაარსი: მაგალითად, ერთიანი ზმნური
ფორმა „დამიწერიანე“ გამოხატავს. „შენ აიძულე ის, ჩემთვის
დაწეროს რაღაც“ და მისთ. ეს უთუოდ დიდი სიმდიდრეა ენისა, მაგრამ
ხაზვასმით უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ ენის მოქნილობა და სიმ-
დიდრე ისიც არის, მას შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული
რთული შინაარსი ანალიტიკურადაც გადმოსცეს. ზოგჯერ ჩნდება სა-
ჭიროება გარკვეულ კონტექსტებში რთული შენაერთის რომელიმე კომ-

პონენტი გამოყოფილად ითქვას და, მაშასადამე, რთული ზმნური ფორმა დანაწევრდეს².

მაგალითად, „შეცდომა“ სიტყვასთან დაკავშირებით ქართულში გვაქვს, პოლიპერსონალური ზმნური ფორმის გვერდით, ბუნებრივი გამოთქმა შესაბამისი ერთბირიანი ზმნით გამოხატული — „ის შეცდა“. იგივე შინაარსი, სათანადო ზმნით გადმოცემული, ჩვეულებრივია რუსულ ენაშიაც — „он ошибся“, მაგრამ არსებითად იგივე შინაარსი, გარკვეული სტილისტიკური ნიუანსის შემცველი, რუსულმა ენამ გამოხატა დანაწევრებულად: „он допустил ошибку“.

ქართულშიაც გაჩნდა საჭიროება ასეთი დანაწევრებული გამოთქმის არსებობისა. ყველა შემთხვევაში ჩვენ რომ „შეცდა“ ზმნა გვეხმარა, ამით შევზღუდავდით ქართული ენის სტილისტიკურ შესაძლებლობებს. ამიტომვე, ბუნებრივია, ქართული ენაც შეეცადა ეს შინაარსი გარკვეულ კონტექსტებში იმავე ფუძის სახელადი ფორმითა და სავანგებო ზმნის დართვით გამოეხატა. ამ ნიადაგზე წარმოიქმნა სხვადასხვა გამონათქვამები, მაგრამ ეს კალკირებული გამონათქვამები თანაბარი ღირებულებებისა არ არის ქართული ენის აგებულების თვალსაზრისით.

ქართული ენობრივი ფსიქოლოგიისათვის შეუთავსებელია ისეთი გამოთქმები, როგორცაა „შეცდომა დაუშვა“ ან „ჩაიღინა“, რაც რუსული (თუ სხვა ენა) „допустил ошибку“ შინაარსობრივ და ლექსიკურ საშუალებათა გაუმართლებელი კალკია და რაც, სანწუნაროდ, ფართოდ ვრცელდება.

„შეცდომა“ იმ ტიპის ზმნებს განეკუთვნება, რომლებისთვისაც უცხოა ე. წ. „ნებისმიერი“, „ნებელობითი“ მოქმედება. ქართული ენობრივი ფსიქოლოგიის მქონემ არ შეიძლება შეეცნებულ მოქმედებათა სფეროში მოაქციოს ეს ზმნა. „შეცდომა მოსდით, ეპარებათ“. ესა თუ ის მოქმედება „შეცდომა“ რომ იქნება, ქართულად მეტყველისათვის უცნობია და ამიტომ ამბობს, „მომივიდაო“, ჩემდა უნებურად შემემთხვაო.

ქართული ენისთვის ნიშანდობლივი ეს უნებლიობის გახაზვის საჭიროება უთუოდ უნდა იყოს დაცული ე. წ. კალკირებული გამოთქმების შეფასება-შერჩევისას. უნდა ვთქვათ: „შეცდომა მოუვიდა“, „გაეპარათ“ და მისთ. და არა „დაუშვა“, „ჩაიღინა“.

² ზოგი ამ რიგის საკითხი სავანგებო მსჯელობის სავანია ქართული ენის მასალაზე სხვადასხვა ავტორთა შრომებში, როგორცაა, მაგ.: თ. ზურაბიშვილის „მომჭირნედ დასახარჯი სიმღიდრე“: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1980, № I; მისივე „შემასშენლის ერთი სახეობის გამოყენების საკითხები თანამედროვე ქართული პრესის ენაში“: კრებ. „ქართული სიტყვის კვლევების საკითხები“, წიგნი მეოთხე, 1981; შ. აფრიდონიძის „ლიტერატურის სიტყვათსესხება“: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982, № 2 და სხვ.

აღნიშნავენ, რომ ისეთი მიმდებარეობის სინტაქსები, როგორცაა „დაშვებული შეცდომა“, სხვანაირად აღარ გამოვაო. კი მაგრამ, გენ-და კი აქ უთუოდ „დაშვებული“? ამას ქართული ენა სხვადასხვაგვარი საშუალებებით გადმოსცემს და ეს საშუალებებია გამოსაყენებელი. ასეთ შემთხვევებში ვამბობთ: „შეცდომა, რომელიც მოუვიდა“, ან, უბრალოდ, „შეცდომა“-ც საკმარისია. იგი უთუოდ მომხდარი უნდა იყოს, როცა ვაფასებთ რაიმე ასეთ ფაქტს; ან, ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში ვიყენებთ უბრალოდ კუთვნილებით ნაცვალსახელს — „მისი შეცდომა“ და სხვ. ამის საშუალებები საკმაოდ დაიძებნება ენაში. ამ რიგისაა „სისულელე მოუვიდა“ (და არა „ჩაიღინა“) და მრავალი სხვა მსგავსი უნებლიე მოქმედების ზმნები.

ძ ა ლ ზ ე გ ა ხ შ ი რ დ ა ამ ბოლო დროს უხეში კალკი — „დაე-კარგე“.

ჩვეულებრივ, არც ეს ზმნა ჰგუობს ქართულ ენაზე მოაზროვნისათვის შეგნებულ მოქმედებას, რის გამოც „ეკარგებათ“ რაიმე და არ-კარგავენ! ქართველი, რა თქმა უნდა, ამბობს და კიდევ უნდა თქვას — და ეკარგეო“, როცა უსაყვედურებს თავის თავს, სიფხიზ-ღე, გონიერება ვერ გამოვიჩინე და „დაეკარგეო“. მაგრამ „დაეკარგე“ ისე ბატონდება დღეს ყველა შემთხვევაში, რომ ლამის სრულებით გამოირიცხოს ირიბი თბიექტური პირის შემცველი უნებლიე ფორმე-ბი — და ეკარგა, და ეკარგეო და მისთ.

ქართულ ენას, როგორც ზემოთაც აღნიშნა, ახასიათებს მრავალ-პირიანი ზმნა და ამიტომ იმ რიგის ფუძეებში, რომლებშიაც პირთა ურთიერთობა გამოიხატება, ბუნებრივია არსებობდეს პოლიპერსონა-ლური ზმნური ფორმები. მიუხედავად ამისა, ქართულ ენაში გზა გა-ეხსნა სასაუბრო ენიდან კალკირების გზით წარმოქმნილ „პასუხობს“, „კარნახობს“ და მისთანებს და იმდენად, რომ სრულ წალეკვას უქა-დის ბუნებრივ მრავალპირიან ფორმებს.

ამ ფორმებმა სპეციალისტთა საკმაო აზრთა გაცვლა-ვაშოცვლა გა-მოიწვია. მათ განხილვას აქ ჩვენ არ გამოვეუდგებით. შეჯამებული სა-ხით ყველა ეს თვალსაზრისი და სათანადო არგუმენტაციაც თავმოყ-რილია ვიოლა კალანდაძის საკმაოდ ვრცელსა და საფუძვლიან გამო-კვლევაში³.

ასაბუთებენ, რომ საჭირო იყო ენაში წარმოქმნილიყო აღნიშნული შინაარსის განზოგადებული, ერთპირიანი ფორმები (თანაც აღნიშნა-ვენ აწმყოსა და მყოფადის გათიშვის საჭიროებასაც), და ენამაც მასში არსებული წარმოების საფუძველზე შექმნა -ობ-სუფიქსიანი პასუ-

³ ვიოლა კალანდაძე, „პასუხობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულ-ში“; კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მეოთხე, 1981.

ზობს (телефон не отвечает — „ტელეფონი არ პასუხობს“), კარნახობს და მისთ.

თითქოს დავასაბუთეთ ამ ერთპირიანი ფორმების აუცილებლობა, მაგრამ გამართლდა თუ არა ეს ნაბიჯი? — ვეოპ, ვერ გამართლდა!

ორი ერთმანეთის გამომრიცხავი მიმართულებით წარმართა ამ ფორმებით გამოწვეული შეუსაბამობები:

ჯერ ერთი, ენამ ამ ზმნების ერთპირიანობა ვერ იგუა და „პასუხობს“ ტიპი მოიშველია, თანაც, ზოგჯერ ვითომდა მართებული ფორმის შესანარჩუნებლად ერთპირიანი ზმნის გაგებით ისევ „უპასუხებს“ იქნა გამოყენებული („ადამიანი ლაპარაკობს, უპასუხებს კითხვებზე“)⁴.

მეორე — ერთპირიანი „პასუხობს“ ზმნა ფართოდ გავრცელდა უკვე ყველა შემთხვევაში, ე. ი. როცა ირიბი თბიექტიც უთუოდ ივარაუდება.

განუკითხვად აირია შინაარსთან კონსტრუქციითა შეხამება.

ჩნდება კითხვა: არის კი საჭირო თუნდაც ერთპირიანი ზმნის გაგებით „პასუხობს“ ფორმის დაშვება? ჩვენი ფიქრით, ამის საჭიროება ქართულ ენას არა აქვს.

პასუხობს, კარნახობს და მსგავსი რიგის ზმნები უთუოდ გულისხმობს სუბიექტისა და ირიბი თბიექტის ურთიერთობას. სუბიექტ-თბიექტის ასეთი დამოკიდებულება სხვა ენებშიაც (მაგ., რუსულშიაც) არაა უჩვეულო (თუმცა იქ ერთპირიანი სახეობებიც ჩვეულებრივია) აღნიშნული შინაარსის გამონათქვამებისათვის, მაგრამ იმ ენებში ეს ხდება მთელი წინადადების ფონზე: „он отвечает ему“, „он диктует ему“... და სხვა.

ქართულში კი არსებითად განსხვავებული ბუნების სტრუქტურა გვაქვს. აქ ეს სუბიექტ-თბიექტის დამოკიდებულება, რაც ამ ზმნათა სემანტიკაშია ჩაქსოვილი, მორფოლოგიურად და ასახული და ამდენადვე სხვაგვარი მათი გამოხატვა ქართულში ამ ზმნათა შინაარსს, მის ბუნებას ეწინააღმდეგება. ამიტომ ქართულად თარგმნისას ჩვენ სათანადო შინაარსი უნდა გადმოვიღოთ ქართული ენის ბუნების შესაბამისად, ე. ი. მრავალპირიანი ზმნის ფორმით, ხოლო, თუ მაინცდამაინც გვინდა იგივე შინაარსი ერთპირიანი ზმნით ჩავანაცვლოთ, ამისთვის უნდა მივმართოთ ქართულ ენაშივე არსებულ ბუნებრივ საშუალებებს — „პასუხს იძლევა“, ან სათანადო სემანტიკის ერთპირიან ზმნებს. ასეთ შემთხვევაში ქართულში ბუნებრივია ზმნათა სუბლექტური ფუძეების გამოყენება.

⁴ ვ. კალანდიაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

რუსული ზმნური ფორმისათვის „не отвечает“ არაა სავალდებულო ქართულში უთუოდ პ ა ს უ ხ ი იქნეს გამოყენებული. შეიძლება იგივე ვთქვათ სხვა ერთპირიანი ზმნით ან პირმიუმართავეად: ღუმს, ხმას არ იღებს და სხვ.

სწორედ ერთპირიანი „პ ა ს უ ხ ი ბ ს“ ფორმის გაუმართლებელმა ხმარებამ გააარღვია მტკიცე ჯებირი ქართული ენობრივი სისტემისა და გაანდა ისეთი შეუსაბამო ფაქტები, როგორცაა „თხრობს“. ენობრივ ნორმათა დარღვევის ფაქტებზე მსჯელობისას ე. ქურციკიძეს მაგალითად ერთ-ერთი საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმიდან მოჰყავს ასეთი ამონაწერი: „მოსწავლეთა საკმაო ნაწილი ვერ თხრობს გასაგებად მხატვრული ნაწარმოების შინაარსს“⁵. აქ სხვა ზმნის ფუძე (სხვა ლექსიკური ერთეული) უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ „პ ა ს უ ხ ი ბ ს“ ზმნის გაუმართლებელმა მხარდაჭერამ გზა გაუხსნა ასეთ შეუფერებელ ფორმას და მოულოდნელი არაა მან ამდაგვარი სხვა ფორმებიც გააჩინოს.

მითითებულ და მსგავს შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, სიტყვებს კი არ უნდა ვთარგმნიდეთ, არამედ შინაარსს უნდა ვადმოვცემოდეთ ქართული ენის ბუნებრივი საშუალებებით. ქართული ზმნის სპეციფიკა ამ მხრივ განსაკუთრებულ ფაქიზ ყურადღებას მოითხოვს. უნდა ვითვალისწინებდეთ ქართული ზმნისთვის ნიშანდობლივ კატეგორიებს: კ ა უ ხ ა ტ ი ვ ს, ქ ც ე ვ ა ს, უ ნ ე ბ ლ ი ო ბ ა ს, შ ე ს ა ქ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს და სხვ.

ახლა, რაც შეეხება ისეთ ფაქტებს, რომლებიც შეიძლება კალკებად იქნეს მიჩნეული და ამიტომ შეგნებულად იზღუდებოდეს მათი გამოყენება.

ასეთად მიგვაჩნია აქვეს/ჰყავს; მიიქვეს/მიჰყავს (წაიღო/მიიტანა/მიიყვანა) ზმნურ ფუძეთა ხმარების საკითხი.

ამ ზმნათა განაწილებაში ძალზე ჭრელი სურათი გვაქვს დღეს ქართულში. საერთოდ შენიშნულია, რომ აქვეს, ჰყავს (მოაქვს, მოიტანა, მიჰყავს) ზმნათა გამოყენების მიხედვით ერთგვარი დაყოფაცაა გატარებული: უსულღოზე, არაცოცხალზე ითქმის აქვეს (მოაქვს, მოიტანა, წაიღო), ხოლო სულღერზე, ცოცხალზე — ჰყავს (მიჰყავს, წაიყვანა), მაგრამ ამდაგვარი დაყოფა თანამედროვერულად არ ტარდება ენაში. გზა, მაგალითად, ცოცხალი და სულღერი არსება არ არის, მაგრამ იგი „გაჰყავთ“. „ვასი ხეზე აჰყავთ“ და მისთ.

ჩვეულებრივ აყვანა, გაყვანა... მაშინ იხმარება, როცა „თან გაყოლებით“ მოქმედება იგულისხმება და თითქოს უსუ-

⁵ კრებ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982, № 2, გვ. 33.

ლო საგნებთან მათი ხმარება ამით მართლდება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არაა სრული თანამიმდევრობა. თანამიმდევრობა რომ ყოფილიყო დაცული, „სვე“, „კვალი“ სიტყვებთანაც იგივე ზმნა უნდა გვეხმარა, რაც გზა სიტყვასთან, მაგრამ ასე როდია. ამბობენ: „ოტიამ... სვრელი მიიტანა“ (დ. კლდიაშვილი), „ცხენი ხარზე უფრო ადვილი მოსახმარებელია და ამის გამო სამკალს მთელს სვეს გაატანინებს კაცი“ (ილია). ქართულრი დიალექტის სვრე სიტყვის განმარტებისას ვკითხულობთ: „სვე, სვრელი, კვალი, რომელიც მიწის მუშას ერთ ჯერზე სწორად მიაქვს თოხნის, მკის თუ თიბვის დროს“⁶ და სხვ.

ეს ვითარება წარსულის რთული ენობრივი ცვლილების თავისებური გადმონაშთია.

როგორც ცნობილია, ქართული ენობრივი ფსიქოლოგიისათვის თავდაპირველად სულიერ-უსულოდ, ან ცოცხალ-არაცოცხალ კატეგორიებად დაყოფა საგნებისა უცხო იყო. ქართულისათვის, ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, დამახასიათებელი იყო ადამიანისა და ნივთის გრამატიკულ კლასებად დაყოფა, რის გამოძახილიც მტკიცედ არის დღემდე დაცული ვინ და რა კითხვით ნაცვალსახელთა მიხედვით. „ვინ მიდის?“ (ადამიანი), „რა მოდის?“ (ცხენი, წყალი...). ამიტომ ერთი და იგივე „აქვს“ ზმნის ფუძე ქართულშიც, მსგავსად სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისა, საზიარო უნდა ყოფილიყო როგორც არაცოცხლისათვის (არასულიერისთვის), ისე ცოცხლისთვის (სულიერისთვის). ამის საუკეთესო მოწმედ გამოდგება ძველ ქართულში არსებული — „ძმამ აქუნდა“ (რომელიც დღესაც შემორჩენილია ქართული ენის ზოგ მთის დიალექტში).

განსხვავება ვინ და რა კლასებში, უნდა ვიფიქროთ, მყარდებოდა ამ საერთო ფუძეზე შესაბამისი გრამატიკული კლას-ნიშნების დართვით.

გრამატიკული კლასების მოშლის შემდეგ სხვადასხვა ზმნური ფუძეები (განსხვავებული დიალექტური წრის კუთვნილება, — შდრ. „საქონელი“ და „საყოლი“ — თუ ნაწილობრივ განსხვავებული ნიუანსის მქონე) გადანაწილდა თითქოს ცოცხლისა და არაცოცხლის ჯგუფებში⁷, მაგრამ ჩვენთვის დღეს მიუწვდომელი მოტივაციის საფუძვლის გამო ეს დაყოფის პრინციპი არ იქნა დაცული ლოგიკური თანა-

⁶ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 642.

⁷ უძველეს პერიოდში ამ შემთხვევაში ერთგვარი მნიშვნელობა შეიძლება სხვა ენათა გავლენასაც ჰქონოდა!

მიმდევრობით. ამის შედეგად ენამ ზოგ შემთხვევაში შემოინახა, ერთი მხრივ, ქონა-ტანა ზმნები ცოცხალ არსებებთან დაკავშირებითაც და ყოლა-ყენა ზმნები არაცოცხალთან დაკავშირებითაც. ამ ნიადაგზე შემოგვრჩა შერეული გამონათქვამები. მათ დღეს ჩვენს ლოგიკურ კალაპოტში ვერ მოვაქციეთ. ამ მხრივ უნდა შევიწინარჩუნოთ ტრადიციულად გავრცელებული შეხამებები, როგორცაა, მაგალითად, აზრის, ციტატის, მაგალითის და მისთანათა მოყვანა და არა „მოტანა“.

ასეთ გამონათქვამთა ზემოთ აღნიშნული წარმომავლობის გზაზე მიუთითებს მონათესავე ენებში არსებული ანალოგიური ფაქტებიც.

ამის ფრიად საყურადღებო ნიმუშს იძლევა აბაზური ენა. მასში, აფხაზურის მსგავსად, ჯერ კიდევ, შეიძლება ითქვას, კარგადაა დაცული გრამატიკულ კლასებად სახელების დაყოფა: ერთი და იგივე ზმნის ფუძე, ჩვეულებრივ, გრამატიკულ კლასთა ექსპონენტების მიხედვით იძლევა ადამიანთა და ნივთთა კლასებად დაყოფას და არაა საჭირო სხვადასხვა ზმნური ფუძეები: მაძირი ზმნისა, თუ ადამიანის დ კლას-ნიშანს დაუერთავთ, მოგვეცემს „ადამიანის ყოლის“ გაგებას (დ-ს-გ-მა-პ-„მყავს“, „მაქვს“ ის [ადამ.])“, ხოლო თუ ი კლას-ნიშანს — „ნივთის ქონა-ს“ გადმოგვეცემს (ი-ს-გ-მა-პ „ის [ნივთი] მაქვს [მყავს])“.

მაგრამ გარკვეული ტენდენციები ჩნდება აბაზურში (მის ტიპანთურ დიალექტში) — უნდა ვიფიქროთ, პირველ რიგში უკლასნიშნო ადიდურ ენათა გავლენით, — რის შედეგადაც, ქართულის მსგავსად, ჩაისახა საჭიროება გაიჩინეს ცოცხალი (თავისით მავალი) და არაცოცხალი (თავისით ვერ მავალი) განსხვავებული ზმნის ფუძის მიხედვით. ეს ხდება მხოლოდ ერთადერთ „ღება/ყვანა“ სემანტიკის მქონე ზმნაში.

ასეთი სემანტიკით აფხაზურში დღესაც გამოიყენება საერთო „გა“ ფუძე კლას-ნიშნებით გარჩეული (დგ-ლ-გოგტ — „მიპყავს ის [ადამიანი]“ და ი-ლ-გოგტ — „მიაქვს ის [ნივთი]“).

აბაზურმა კი იგივე „გა“ ზმნის ფუძე აღჭურვა მხოლოდ „წაღების“ ფუნქციით და გახაზა არაცოცხლის წაღება (ი-ლგატ), ხოლო ცოცხლის „წყავანისთვის“ გამოიყენა სხვა ზმნური ფუძე — „და“ (რომელსაც საერთო აბაზურ-აფხაზურ ლექსიკაში ზოგადად „წვეის“ სემანტიკა ჰქონდა).

აქ უკვე ისახება გრამატიკულ კლასთა მთლიან გარკვეული ტენდენციას. საკლასიფიკაციოდ ჩნდება ახალი პრინციპი: „ცოცხალი“ — „არაცოცხალი“.

მიუხედავად ამ ერთეულ შემთხვევაში აღნიშნული დაყოფის ერთგვარად ლოგიკურად გატარებისა აბაზურში, თავი იჩინა ერთმა მე-

ტად საგულისხმო გამონაკლისმა: პ ა ტ ა რ ძ ლ ი ს მ ო ყ ვ ა ნ ი ს თ ვ ი ს
გამოყენებულ იქნა არა ლოგიკურად მოსალოდნელი „მ ო ყ ვ ა ნ ა“
(ე. ი. „და“ ზმნის ძირი), არამედ „არაცოცხლის“ შესაბამისი „მ ო ტ ა-
ნ ა“ (ე. ი. „გა“ ზმნის ძირი).

ამ ფაქტის ასახსნელად ალბათ ანგარიში უნდა გაეწიოს აბაზას ენობ-
რივ ფსიქოლოგიაში თავისებური ეთნოგრაფიული სინამდვილის გამო-
ძახილს: ქალს, ჩვეულებრივ, იტაცებდნენ (ან კიდევ „თხოულობდნენ“)
და ალბათ შეუფერებლად ჩაითვლებოდა ის, რომ ქალი თ ა ვ ი ს ი
ფ ე ხ ი თ წ ა ს უ ლ ი ყ ო ს.

უნდა ვიფიქროთ, ამგვარმა მომენტმა შეაპირობა ეს გამონაკლისი
შემთხვევა, მაგრამ ენობრივი წესიდან გადახრა ხომ მაინც ფაქტია!

ჩვენთვის დღეს ადვილი დასადგენი არ არის ქართულში, ამა თუ
იმ გამონათქვამში რამ განსაზღვრა ესა თუ ის შესიტყვება, რა მოტივა-
ცია ედო საფუძვლად ისტორიულად თითოეულს, როგორ შეერია ერთ-
მანეთს სხვადასხვა დიალექტური შესიტყვებანი (საგანგებო ყურადღე-
ბას მოითხოვს ყოველი ამ ზმნისა და გამოთქმის ისტორიულ-შედარე-
ბით ასპექტში შესწავლა).

რაც შეეხება ენობრივ ნორმას, ამ რიგის შესიტყვებაში ხელშე-
უხებლად უნდა დარჩეს ის შეხამებები, რომლებიც ქართული ენის ის-
ტორიულმა სინამდვილემ გვიანდერძა და რასაც ჩვენს კ ლ ა ს ი კ ო ს-
თ ა ე ნ ა შ ი ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ.

8 ამ ვარაუდის საუკეთესო დადასტურებაა აბაზა მწერლის ფ. ცეყვას მოთხ-
რობაში აღწერილი ამბავი ფატიმას გატაცებისა და განსაკუთრებით კი თედორესა და
ზუფარის დიალოგი ამასთან დაკავშირებით (იხ. Цекъва Пасарби, Ашхъарт
ашахахра, Черкесск, 1967, გვ. 200 და შმდ.).

საუბრიდან ისე ჩანს, რომ მოტაცების გამომხატველი ტერმინები განიჯნულია
იმის მიხედვით, ქალი თანახმაა და მშობლების უჩუმრად თხოვდება, თუ მის ძალით
იტაცებენ. შდრ. (აბაზა უხსნის რუს ამხანაგს):

„...კი არ ვიტაცებთ („ვიპარავთ“), „წამოვიღებთ“ (წამოვიყვანთ). როცა იტა-
ცებენ („იპარავენ“), მაშინ მან არ იცის. ამან კი იცის. ჩვენ უკვე მოლაპარაკებულნი
ვართ. (ფატიმა) თანახმაა გიარს გაჰყვეს ცოლად.

— მერედა, თუკი ქალი თანახმაა, ჩუმად რატომ უნდა „წამოვადოთ“ (წამოვი-
ყვანოთ)? — არ ესმოდა ეს თედორეს.

— მისმა დედ-მამამ რომ არ გაიგოს, ამიტომ ვიქცევით ასე.

— მერედა, რომ გაიგონ, რა იქნება?

— ჩვენში წესად არაა, ქალიშვილი რომ თხოვდება, დედ-მამას აცნობოს: არ
შეუფერება. სირცხვილია. დედ-მამას ჩვენ ვეუბნებით, მისი ქალიშვილი რომ გა-
თხოვდა“.